

შპს „აგრო ტექნოლოგია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სპეციალური დანიშნულების მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
. მომზადების საფუძველი.....	5
. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	11
-7 გრძელვადიანი სესხები.....	11
3. საგადასახადო ვალდებულებები	11

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	339664	436703	185498
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	751880	374640	466144
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	321274	282437
მარაგები	9091	182968	70764
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	9091	182968	70764
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	22937
ძირითადი საშუალებები	202592	281735	7369
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	22936	22936	0
სულ აქტივები	1326163	1620256	1035149

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	15491	20798	8868
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4653	854	4697
საგადასახადო ვალდებულებები	24782	68571	28196
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	489663	1491065	1061319
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	21250	21250	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	527692	386995	86679
სულ ვალდებულებები	1083531	1989533	1189759

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	242632	-369277	-154610
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	242632	-369277	-154610
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1326163	1620256	1035149
სულ მოკლევადიანი აქტივები	1100634	878883	1004843
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	581374	369425	41761

შპს "აგროტექნოლოგიას" დირექტორი:

ამირან შელია

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	12855974	17292026
საქონლის გაყიდვიდან	12855974	17292026
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-11456780	-15973775
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1399194	1318251
სხვა საოპერაციო შემოსავალი	37798	26480
დასაქმებულთა ანაზღაურება	-79580	-39039
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-90170	-27591
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-157042	-243909
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-382984	-1231622
სულ საოპერაციო ხარჯები	-671978	-1515681
საოპერაციო მოგება	727216	-197430

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
საფალოტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-115307	-17237
ოპერაციებიდან	611909	-214667
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	611909	-214667

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	611909	-214667
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-369277	-154610
ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	242632	-369277

მზს "აგროტექნოლოგიას" ღირეპტორი:

ამირან შელია

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2022 31/12/2022

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა

ფულადი ნაკადები

-97039 251205

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)

წმინდა ფულადი ნაკადები

0 0

ფულადი ნაკადები

0 0

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

-97039 251205

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

0 0

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

436703 185498

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

339664 436703

შპს "აგროტექნოლოგიას" დირექტორი:



ამირან შელია

შპს „აგრო ტექნოლოგია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „აგრო ტექნოლოგია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2016 წლის 20 მაისს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 406177818,

ძირითადი საქმიანობა. შპს „აგრო ტექნოლოგია“-ს ძირითად საქმიანობა ცოცხალი ღორების იმპორტი და რეალიზაციაა საქონლის სახეშეუცვლელად. ბაზარზე საქმიანობას შეუდგა 2020 წლიდან.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. №24.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობს ამირან შელია.

გადამხდელის კატეგორია: საშუალო

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა.“

კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2020 წელს, შესაბამისად, წარდგენილი იყო 2020, 2021, 2022 წლების ფინანსური ანგარიშგებები.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინსტრუქციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მსს ფასს-ის შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის მიხედვით,

3ს „აგრო ტექნოლოგია“

3პეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2 მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო სეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი სეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „აგრო ტექნოლოგია“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფრგლებში გაწეული სერვისის (მიწოდებული საქონლის) სანაცვლოდ მომხმარებლისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებები

- აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების სეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- შენდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიამ 2022 წლის განმავლობაში მოახდინა მნიშვნელოვანი ინვესტიცია. კომპანიას ღირებულების ფერმა, სადაც ძირითადად ხდება საქონლის დროებით დაყენება იჯარით აქვს აღებული სს ნიკორასგან. კომპანიამ მოახდინა აღნიშნული ფართის მოდერნიზაცია და აღჭურვა შესაბამისი ტექნიკით პროცესის სრულად ავტომატიზაციისთვის.

პროცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად: ცოცხალი ღორები ყენდება ჯგუფად სათავსებში, მომიჯნავე სათავსებს შორის დამონტაჟებულია საკვები ავტომატები, ასევე ავტომატიზირებულია წყლით და ჰაერის ვენტილაციით მომარაგება. შენობის მთელ სიგრძეზე კორიდორულად დამონტაჟებულია სადგომებს შორის ღარებიანი საკანალიზაციო მილები სპეციალური დახრილობით, რომელიც ხელს უწყობს ავტომატური ძლიერი ჭავლით რეცხვისას ნარეცხი მასალების გადინებას სენობიდან. ამდენად ხელის შრომა მინიმუმამდეა დაყვანილი და ერთი ოპერატორი ზემაღალი წნევის დანადგარით ასრულებს ამ მოვალეობას, რომ მოამზადოს სათავსი მორიგი ჯგუფის მისაღებად. შენობის გარეთ დამონტაჟებულია საკვები სილოსი, სილოსი აღჭურვილია სპეციალური მექანიზმებით და საკვები ჯაჭვური ტრანსპორტირებით, რომელიც უზრუნველყოფს სადგომებს შორის დამონტაჟებულ საკვების ავტომატების შევსებას სენსორების დახმარებით. სენსორები მუშაობენ ცარიელია/სავსეა პრინციპით,

რაც ხელს უწყობს საკვები ავტომატების დროულად შევსებას მუშახელის ჩარევის გარეშე. საკვების სილოსზე დამონტაჟებულია გამჭვირვალე სეგმენტი, რაც იძლევა ნარჩენის კონტროლის საშუალებას. აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატორი დროულად უკვეტავს საკვებს მომწოდებელს. საჭირო რაოდენობის ჰაერის მიწოდება შენობაში, სადაც ცოცხალი ღორებია განთავსებული სდება ავტომატიზირებული ვენტილაცია სისტემით. შენობაში დამონტაჟებული ვენტილატორები, უზრუნველყოფენ 250 000 მ3/ს ჰაერის იძულებით გადინებას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია საქონლისთვის. ყოველივე ზემოთ აღწერილი საწარმო პროცესი გვაძლევს საშუალებას სამუშაო პროცესებში მუშახელის ჩართულობის მინიმუმამდე დაყვანას.

რაც შეეხება მეორე ფერმას, რომელიც ნაკლებად ავტომატიზირებულია, იქ ხდება დროებით შემოყვანილი საქონლის დროში სწრაფად რეალიზაცია და არ ხდება მისი გაჩერება განსაზღვრული ვადით. საბაჟოზე სემოსული მანქანა მიდის შიდა გადაზიდვით ამ მისამართზე და ხდება მისი რეალიზაცია ფაქტიურად საკმაოდ სწრაფად, მინიმალურ ვადებში.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება წრფივი ჩვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ტრანსპორტი	10
შენობა ნაგებობები (იჯარით აღებული კეთილმოწყობა)	10
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5

პეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გეზის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის ტანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზრაურების სრულად მირებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ძირითადად მოკლევადიან სესხს წარმოადგენს სესხი დამფუძნებლიდან, რომელიც პერიოდულად იფარება თავისუფალი ფულადი სახსრებით სესხების დაგვარად. სესხი 5 წლიანია და იფარაუდება მისი დაფარვა სამი წლის ვადასი. ასევე კომპანიას აქვს მოკლევადიანი სესხი სს საქართველოს ბანკიდან, რომელიც უკვე დაიფარა ანგარიშგების წარდგენის პერიოდისთვის, ასევე მნიშვნელოვნადაა შემცირებული ანალოგიური პერიოდისთვის დამფუძნებლის სესხი.

გადასახადები. გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება საგადასახადო კოდექსით განაპირობებულ პერიოდში და ტარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნა მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-თი დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-თი შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი. ასევე გააჩნია კომპანიას დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გატვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

შპს „აგრო ტექნოლოგია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდის თვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური საგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/ გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებისა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/ გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის.
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს. გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვემდე.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური სედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებისა და დაშვებისგან.

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას. ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვლილების განაკვეთის კორექტირება.

შპს „აგრო ტექნოლოგია“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ზალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

6. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან სა დაქონლის რეალიზაციიდან.

კომპანიის შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს ცოცხალი ღორების იმპორტი და სახეშეუცვლელად მისი რეალიზაციიდან საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავალი.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის მთლიანი მოთხოვნა გენერირდება თავის საქონლის მიწოდებიდან სხვადასხვა კომპანიების მიმართ დაგროვილი მოთხოვნით. თუმცა თანხის არცთუ ისე დიდი ოდენობისას ამიტომ მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ნიშნები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. კომპანიის მარაგები არის სარეალიზაციოდ და საკუთარი მოხმარებისთვის განკუთვნილი.

8. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას მიმდინარე 2023 წლის პერიოდებში ჰქონდა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულება კომპანიის დამფუძნებლისგან და სს საქართველოს ბანკის სესხი, რომელიც ანგარიშგების წარდგენის პერიოდისთვის ასევე დაიფარა.

9. საგადასახადო ვალდებულებები

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე კომპანიაში 2023 წელს მიმდინარე საგადასახადო შემოწმების შედეგები, რომლითაც კომპანიისთვის არ მომხდარა დამატებით დასარიცხი თანხების დარიცხვა. შემოწმება მიმდინარეობდა ასევე 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ 2023 წლის პერიოდში და მოხდა ბოლო 3 წლის შედეგების შემოწმება.

ამირან შელია
დირექტორი

